

შპს ინტერ გაზი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	3	23,789,706	7,836,084
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(8,781,327)	(5,419,934)
მთლიანი მოგება		15,008,380	2,416,150
მიწოდების ხარჯი	5	(2,294,603)	(777,103)
ხელფასის ხარჯი		(1,360,199)	(1,383,743)
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,028,055)	(665,223)
ცვეთის ხარჯი		(403,162)	(254,872)
საოპერაციო მოგება		9,922,360	(664,792)
ფინანსური ხარჯი/ შემოსავალი	7	(827,928)	(225,393)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი/ შემოსავალი		639	(61,466)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შედეგი		(13,157)	(3,000)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებიდან		964,035	352,116
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		123,589	62,257
მოგება დაბეგვრამდე		10,045,949	(602,535)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		10,045,949	(602,535)
ძირითადი საშუალებების აფასება		-	-
სრული შემოსავალი		10,045,949	(602,535)

დირექტორი - გ. აბულაძე

ბუღალტერი - მ. თაბუნიძე

შპს ინტერ გაზი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	9,903,359	5,167,760	4,958,564
არამატერიალური აქტივები		231	231	316
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	9	2,880,000	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,783,590	5,167,990	4,958,879
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	1,218,301	1,079,664	627,173
სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	11	2,813,252	1,538,508	965,793
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	12	3,471,409	3,039,120	1,940,597
ფული და ფულის ექვივალენტები	13	263,112	3,103	354,571
სულ მიმდინარე აქტივები		7,766,074	5,660,394	3,888,135
სულ აქტივები		20,549,664	10,828,384	8,847,015
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		11,259,948	1,213,999	1,816,534
სულ საკუთარი კაპიტალი		11,259,948	1,213,999	1,816,534
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	14	1,773,655	5,494,735	4,908,845
გრძელვადიანი ვალდებულება და პროცენტები	15	1,060,684	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,834,339	5,494,735	4,908,845
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	4,960,970	3,049,757	1,331,112
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	14	1,171,162	510,862	501,471
გადასახდელი გადასახადები		323,244	559,031	289,052
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,455,377	4,119,650	2,121,636
სულ ვალდებულებები		9,289,716	9,614,385	7,030,481
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		20,549,664	10,828,384	8,847,015


 დირექტორი - ვ. აბულაძე


 ბუღალტერი - ნ. თაბუნიძე

შპს ინტერ გაზი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	11,259,948	11,259,948
წმინდა მოგება	-	10,045,949	10,045,949
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	1,213,999	1,213,999
წმინდა მოგება	-	(602,535)	(602,535)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	1,816,534	1,816,534


 დირექტორი - ვ. აბულაძე


 ბუღალტერი - მ. თაბუნიძე

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე	10,045,949	(602,535)
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	403,162	254,786
ამორტიზაციის ხარჯი	-	85
საპროცენტო შემოსავალი	(432,290)	(133,746)
საპროცენტო ხარჯი	1,260,218	359,139
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(964,035)	(352,116)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	10,313,004	(474,386)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,280,590)	(574,352)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(138,637)	(452,490)
ცვლილებები გადასახადებში	(235,787)	269,979
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,910,879	1,718,645
ცვლილებები გრძელვადიან ვალდებულებებში	1,060,684	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	11,629,553	487,395
მიღებული პროცენტი	134,000	-
გადახდილი პროცენტი	(1,260,218)	(359,139)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობისთვის	10,503,335	128,257
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(5,138,762)	(466,983)
ძირითადი საშუალების გასვლა	-	3,000
ინვესტიციების განხორციელება	(2,880,000)	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,018,762)	(463,983)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	10,965,349	2,251,850
მიღებული სესხების გადახდა	(13,053,602)	(1,293,075)
სესხის გაცემა	(2,000,000)	(1,000,000)
გაცემული სესხის დაბრუნება	1,866,000	35,223
გადახდილი დივიდენდი		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,222,253)	(6,001)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(2,311)	(9,742)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	260,009	(351,469)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3,103	354,571
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	263,112	3,103

დირექტორი - 3. აბულაძე

ბუღალტერი - მ. თაბუნიძე

მპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

მპს „ინტერ გაზი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2013 წლის 08 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ახალციხე, ნათენაძის ქ. N2. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული შუზლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პლინ ინ; 05470048; C264175. ორგანიზაციის ღირებულების წარმოდგენს ვასილი აბულაძე ; 47001006781.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბოლოო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი აირის გატარება-მიწოდების მომსახურება, ბუნებრივი აირის ახალი აბონენტების გამრიცხველიანება და გაზსადენების სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია შვილობილ საწარმოში განხორციელდა 2022 წლის ივნისის თვეში და აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენაძნით რაც განხორციელდა შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახდავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არა ბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რისკი ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის მებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდის ცვლის ხარჯი

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• შენობა-ნაგებობა	5%
• მანქანა - დანადგარები	20%
• ოფისის აღჭურვილობა	20%
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
• სატრანსპორტო საშუალებები	20%
• სხვა ძირითადები	20%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვადიან სესხებს და საკრედიტო ხაზს, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება უცხოურ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოქმნილია საქონლის იმპორტის დროს და მასზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამედიცინო მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს მრიცხველების და გაზსადენების მონტაჟის დანახარჯებს, რეალიზებული ბუნებრივი აირის ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ თანამშრომლების ანაზღაურებას.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდინარე წელს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი მომსახურებიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი აირის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს

	2022	2021
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	23,776,086	7,836,084
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13,620	-
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	23,789,706	7,836,084

შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯი

საანგარიშო პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ბუნებრივი აირის თვითღირებულებას, გაზსადენების და მრიცხველების მონტაჟის დანახარჯებს, რომელმაც 2022 და 2021 შემდეგია:

	2022	2021
რეალიზებული ბუნებრივი აირის თვითღირებულება	5,285,089	4,646,948
რეალიზებული მარაგების ღირებულება	3,191,748	564,033
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	304,490	208,953
სულ თვითღირებულების ხარჯი	8,781,327	5,419,934

შპს ინტერ გაზი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 5 - მიწოდების ხარჯი

	2022	2021
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	311,463	37,966
მომსახურების ხარჯები	1,750,270	685,498
პროექტის ხარჯები	224,340	38,943
მიწოდების სხვა ხარჯები	8,531	14,696
სულ მიწოდების ხარჯი	2,294,603	777,103

შენიშვნა 6 - ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
საგადასახადო ხარჯები	402,366	225,366
საიჯარო ხარჯები	39,629	56,727
სოციალური დანარიცხების ხარჯები	34,539	15,798
საბანკო ხარჯები	18,691	9,242
მივლინების ხარჯები	17,983	17,177
საკანცელარიო ხარჯები	5,637	2,717
კომუნიკაციის ხარჯები	8,952	7,044
დაზღვევის ხარჯები	6,450	9,325
საწვავის ხარჯები	3,805	925
საკონსულტაციო ხარჯები	3,600	3,625
რემონტის ხარჯები	1,144	110
კომუნალური ხარჯები	2,586	2,029
სხვა ხარჯები	482,672	315,138
სულ საოპერაციო ხარჯი	1,028,055	665,223

შენიშვნა 7 - ფინანსური ხარჯი/ შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	432,290	133,746
საპროცენტო ხარჯები	(1,260,218)	(359,139)
გაუფასურებული მისაღები პროცენტები	-	-
სულ ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	(827,928)	(225,393)

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ასსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

საწყისი დირეზიონები	ლაუშთაგრებული მშენებლობა	შენიშვნები	ოფისის აღჭრევილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2020	104,933	4,768,638	167	1,318	55,070	28,437	4,958,564
დანამატები	-	455,333	-	466	1,100	10,083	466,983
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	(19,746)	-	(19,746)
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	(243,910)	(33)	(347)	(2,763)	(7,734)	(254,786)
ბალანსი 31/12/2021	104,933	4,980,062	134	1,437	50,407	30,787	5,167,760
დანამატები	-	5,065,007	9,015	3,571	38,382	142,686	5,258,661
აქტივების ჩამოწერა	(104,933)	-	-	-	(37,246)	-	(142,180)
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	(359,474)	(778)	(637)	(24,154)	(18,120)	(403,162)
ბალანსი 31/12/2022	-	9,685,595	8,371	4,372	49,670	155,352	9,903,359
ბალანსი 31/12/2020	104,933	4,768,638	167	1,318	55,070	28,437	4,958,564
ბალანსი 31/12/2021	104,933	4,980,062	134	1,437	50,407	30,787	5,167,760
ბალანსი 31/12/2022	-	9,685,595	8,371	4,372	49,670	155,352	9,903,359

შპს ინტერ გაზი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - მონაწილეობა შვილობილ საწარმოში

2022 წლის ივნისის თვეში „ორგანიზაციამ“ განახორციელა შპს „ქართული ხორცის კომპანიის“ 100% -იანი წილის შესყიდვა და განახორციელა ინვესტიციები შეძენილ ორგანიზაციაში. 2022 წლის მდგომარეობით „ორგანიზაცია“ ფლობს შპს „ქართული ხორცის კომპანიის“ 100%-იან წილს და აქვს კონტროლი მასზე.

	12.31.2022	12.31.2021
შპს ქართული ხორცის კომპანია	2,880,000	-
სულ მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	2,880,000	-

შენიშვნა 10 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს მონტაჟის მომსახურებისთვის საჭირო მარაგებს.

	12.31.2022	12.31.2021
ნედლეული და მასალები	1,217,798	1,077,506
სასაქონლო მარაგები	404	404
სხვა მარაგები	99	1,754
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,218,301	1,079,664

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები

„ორგანიზაცია“ ფლობს გაცემულ სესხებს იურიდიულ და ფიზიკური პირების მიმართ საიდანაც მომავალში მოელის ფულადი სახსრების შემოსვლას.

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე იურიდიულ პირებთან	483,353	593,068
მოთხოვნები გრძელვადიან მისაღებ პროცენტებზე	115,221	78,538
მოთხოვნები მიმდინარე სესხებზე იურიდიულ პირებთან	1,485,428	292,899
მოთხოვნები მიმდინარე სესხებზე ფიზიკურ პირებთან	-	-
იურიდიულ პირებთან დარიცხული საპროცენტო მოთხოვნები	149,930	25,564
ფიზიკურ პირებთან დარიცხული საპროცენტო მოთხოვნები	-	2,082
სულ თვითღირებულების ხარჯები	2,233,932	992,150

შენიშვნა 12 - მიმდინარე მოთხოვნები

ბალანსზე მოცემული სავაჭრო მოთხოვნები შემცირებულია უიმედო დებიტორული დავალიანების თანხებით.

	12.31.2022	12.31.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,802,493	1,357,744
გადახდილი ავანსები	10,640	180,447
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	119	317
სულ სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	2,813,252	1,538,508

შპს ინტერ გაზი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 13 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე

	12.31.2022	12.31.2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	184,700	2,621
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	78,398	-
ნაღდი ფული სალაროში	14	482
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	14	482
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	263,112	3,103

შენიშვნა 14 - სასესხო ვალდებულებები

	2022	2021
გრძელვადიანი სესხები იურიდიულ პირებთან	2,793,426	6,004,650
გრძელვადიანი სესხები ფიზიკურ პირებთან	-	-
	2,793,426	6,004,650
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები იურიდიულ პირებთან	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები ფიზიკურ პირებთან	150,444	-
	150,444	-
გადასახდელი პროცენტები იურიდიულ პირებთან	-	-
გადასახდელი პროცენტები ფიზიკურ პირებთან	947	947
	947	947
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	2,944,817	6,005,597

შენიშვნა 15 - გრძელვადიანი ვალდებულება და მასზე დარიცხული პროცენტები

ორგანიზაციამ 2022 წელს სახელმწიფოსგან შეიძინა ორი უძრავი ქონება რომლის, თვითრიდებულებაც დისკონტირებულია ფინანსურ ნაგარიშგებისთვის რადგან მისი დაფარვა განხორციელდება წლობით.

	12.31.2022	12.31.2021
აქტივის შეძენით წარმოქმნილი ვალდებულება	961,394	-
დისკონტირებულ ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	99,290	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,060,684	-

შპს ინტერ გაზი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 16 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12.31.2022	12.31.2021
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,833,249	2,947,192
მიღებული ავანსები	59,452	40,252
გადასანდელი ხელფასები	63,470	57,429
ვალდებულება შვილობილ საწარმოსთან	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	4,800	4,885
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,960,970	3,049,757